სააპელაციო საჩივრის განხილვის პროცედურა

აღნიშნული სახელმძღვანელო ინსტრუქცია განსაზღვრავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში დარეგისტრირებული სააპელაციო საჩივრების დარეგისტრირების, განხილვის და შედეგების გაცნობის პროცედურებს. ინსტრუქცია შექმნილია დაინტერესებული პირებისთვის პროცესის საფეხურებისა და ვადების გასაცნობად.

თბილისი 2020

საგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საბჭოში საჩივრის წარდგენის გზით ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით.

სააპელაციო საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და მასში აღნიშნული უნდა იყოს:

- მიმართვა სააპელაციო საბჭოსადმი;
- სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა/დასახელება, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია;
- იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება;
- გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასახელება;
- მოთხოვნა;
- გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;
- სააპელაციო საჩივარზე დართული დოკუმენტაციის ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

სააპელაციო საბჭო არ განიხილავს სააპელაციო საჩივარს, თუ:

- გასაჩივრებული გადაწყვეტილება სასამართლოს წარმოებაშია;
- სააპელაციო საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- გასულია სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადა - გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვე.
- მოთხოვნილი საკითხის განხილვა სცდება სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებს.

სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილებები:

- გაიზიაროს საბჭოს გადაწყვეტილება (საბჭოსი, რომლის გადაწყვეტილების მიმართაც დაიწერა სააპელაციო საჩივარი)
- საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ (საბჭოსი, რომლის გადაწყვეტილების მიმართაც დაიწერა სააპელაციო საჩივარი)

სააპელაციო საბჭოს სხდომის შემდეგ არსებული მექანიზმები:

- საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ სააპელაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში.
- საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ სააპელაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო განიხილავს საკითხს ამ დებულებით დადგენილი წესით და გადაწყვეტილებას იღებს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

შენიშვნა

გადაწყვეტილების გასაჩივრება ავტორიზაციის მაძიებელს/საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია მხოლოდ ერთხელ.

წარმოების ვადები:

- სააპელაციო საბჭო სააპელაციო საჩივრის მიღების ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით.
- სააპელაციო საბჭო ვალდებულია სააპელაციო საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწვეტილება მიიღოს საჩივრის მიღებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში.
- სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე

დამატებითი ინფორმაცია:

საჩივრებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

მისამართი: ქ.თბილისი, ალექსიძის ქ, N1.

ტელეფონი: (+995 322) 200 220, ელ.ფოსტა: info@eqe.ge

საკონტაქტო პირი: გიორგი მუნჯიშვილი


საჩივრის რეგისტრაცია ცენტრში
საჩივრის განხილვაზე უარის თქმა
სააპელაციო საჩივრის მიღება
სააპელაციო საბჭოს სხდომა
საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად საკითხის დაბრუნება
გადაწყვეტილების გაზიარება
დაბრუნებული საკითხის განხილვა